



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი
ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველო

პროგრამა
განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა

*სენსიტიური ჯგუფის ბავშვთა
სკოლაში ინტეგრაციის ხელისშემშლელ
ფაქტორთა კვლევა*

2014 წ.



სენსიტიური ჯგუფის ბავშვთა სკოლაში ინტეგრაციის ხელის შეშლელ ფაქტორთა კვლევა

კვლევა დაიგეგმა და განხორციელდა 2014 წელს ქვეპროგრამის „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვებისთვის საქართველოში“ ფარგლებში,

- o იმ ფაქტორების დასადგენად, რომელიც ხელს უშლის განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების ფორმალურ განათლებაში ჩართვას და მათ თანატოლებთან ინტეგრაციას
- o ფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის, მზაობის და ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით მუშაობის დასაგეგმად.

კვლევის შედეგებმა შესაძლებელი გახადა პრობლემების იდენტიფიკაცია, რომელიც მოწყვლადი ჯგუფის ბავშვებს ექმნებათ საჯარო სკოლებში. გამოვლინდა მათი სკოლის სრულფასოვან წევრად გახდომისთვის ხელისშემშლელი ფაქტორები.

მონაცემების მიხედვით სკოლის დღევანდელი შესაძლებლობების, ასევე სენსიტიური ჯგუფის ბავშვთათვის დამახასიათებელი პრობლემების გათვალისწინებით არსებობს ბარიერები მათი ფორმალურ განათლებაში ინტეგრაციისთვის, რომლებიც აიძულებენ ყველაზე მეტად გარიყულ ბავშვებსა და ახალგაზრდებს დარჩნენ სასკოლო პროცესის ანუ ფორმალური განათლების მიღმა. მათ შესამცირებლად აუცილებელია სპეციალური საგანმანათლებლო სერვისების შემუშავება. რაც გულისხმობს სამიზნე ჯგუფებისთვის საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისი რეკომენდებული სერვისების მომზადებას.

კვლევის მიზანი:

პრობლემების იდენტიფიკაცია, რომელიც მოწვევლადი ჯგუფის ბავშვებს აქვთ საჯარო სკოლებში. სკოლის სრულფასოვან წევრად გახდომისთვის ხელის შეშლელი ფაქტორების დადგენა.

კვლევის ამოცანები:

- სკოლის დამოკიდებულების კვლევა განათლების მიღმა დარჩენილ ბავშვთა სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების მიმართ;
- პრობლემების იდენტიფიკაცია, რომელიც შესაძლოა შემაფერხებელია სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელი ბავშვების სკოლაში სწავლისთვის;
- სკოლის არასაკმარისი რესურსების ასახვა იმ პრობლემების იდენტიფიკაციისთვის, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ქვეპროგრამის ბენეფიციარი ბავშვების ჩართვით სასკოლო ცხოვრებაში.

კვლევის მიზნობრივი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები:

საჯარო სკოლები, რომლებშიც განხორციელდა პროგრამის სამიზნე ჯგუფებიდან ბავშვთა ჩართვა;

შერჩევა:

მოწყვლადი ჯგუფის ბავშვთა სკოლაში ინტეგრაციის ხელისშემშლელ ფაქტორთა კვლევა დაიგეგმა

- 10 საჯარო სკოლის ფარგლებში;
- თითოეული სკოლიდან კვლევაში მონაწილეობა უნდა მიეღო 2 ადმინისტრაციის წარმომადგენელს, 5 პედაგოგს და 5 მშობელს;

კვლევის არეალი:

თბილისი, მცხეთა, რუსთავი;

კვლევის მეთოდოლოგია:


სტრუქტურირებული ინტერვიუ

შედეგა 140 ინტერვიუ

კვლევის რიცხოვრივი მონაცემების
ასახვისთვის ვარგისია 113 ანკეტის
პასუხები.

რესპოდენტების რაოდენობის განაწილება:

- 17 ადმინისტრაციის წარმომადგენელი
- 45 პედაგოგი
- 51 მშობელი



ანკეტა სტრუქტურირებული ინტერვიუსთვის შედგება 3 ნაწილისგან

- I ბავშვთა მოწყვლადი ჯგუფების ჩამონათვალი
- II შეკითხვების პირველი ბლოკი:
ბავშვთა მოწყვლადი ჯგუფებისთვის შესაძლო დამახასიათებელი პრობლემების ჩამონათვალი
- III შეკითხვების მეორე ბლოკი:
შესაძლო ბარიერები და სკოლის გარემოს რესურსების დეფიციტები, ჩამოთვლილი ჯგუფის ბავშვთა სკოლაში სწავლებისთვის

ბავშთა მოწყვლადი ჯგუფები

1. ე.წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები
 2. ბავშვები სახელმწიფო ან სხვა ორგანიზაციების ზრუნვის სერვისებიდან:
 - მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან
 - დღის ცენტრებიდან
 - კრიზისული ინტერვენციის თავშესაფრიდან
 - სხვა
 3. სახელმწიფო ზრუნვიდან ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებული (რეინტეგრირებული) ბავშვები
 4. მინდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვები
 5. ბავშვები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან
 6. ქართული ენის არ მცოდნე უცხოეთში გაზრდილი ბავშვები
 7. ბავშვები, რომლებიც სეზონურ სამუშაოებში
 8. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვები:
 - ა) ბოშები
 - ბ) აზერბაიჯანელები
 - გ) სხვა
 9. ბავშვები საპატრიარქოს ბავშვთა სახლებიდან
 10. დევნილი ბავშვები
 11. ბავშვები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სკოლაში, მაგრამ არიან სკოლის მიტოვების რისკის ქვეშ ქცევითი პრობლემების გამო;
 12. სხვა
- მონაწილეობის გამო, ან ოჯახური საქმიანობის თავისებურებებიდან გამომდინარე ხანგძლივად არ ესწრებიან სწავლის პროცესს, ან არიან დასაქმებული

შეკითხვების I ბლოკი

შესაძლო პრობლემების ჩამონათვალი მოწყვლადი ჯგუფების მიხედვით



პასუხის ჩანიშვნა ხდება, თუ რესპოდენტი ეთანხმება გამოთქმულ მოსაზრებას. მიაჩნია, რომ ის დამახასიათებელია რომელიმე მისთვის ცნობილი მოწყვლადი ჯგუფის ბავშვებისთვის და წარმოადგენს მათთვის დამაბრკოლებელ მიზეზს სკოლის ცხოვრებაში სრულფასოვანი ჩართვისთვის.

P.S. მონაცემები წარმოდგენილია რაოდენობრივი რიცხობრივი მაჩვენებლების სახით

| ჯგუფი - ე. წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები

დასახელებული პრობლემები

9 ანკეტის მონაცემები



კვლევისას იდენტიფიცირებულია 9 პასუხი ჯგუფის მოსწავლეების შესახებ.


ჩანს, რომ დასახელებული პრობლემები მეტწილად აქტუალურია მოზარდთა ამ ჯგუფისთვის, რითაც დასტურდება ინფორმაცია, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მეტად მტკივნეული და რთული ჯგუფი ჩვენი ქვეყნის, ისევე როგორც სხვა მრავალი ქვეყნის სინამდვილეში.

ფაქტი, რომ „სახელმწიფო (ქართული) ენის არასაკმარისი ცოდნა“ - არ დასახელდა ხელისშემშლელ პრობლემებს შორის, იმის მიუხედავად, რომ ე. წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ჯგუფის წარმომადგენელთა დიდი ნაწილი ეთნიკურად არაქართული წარმომავლობისაა, აიხსნება იმით, რომ აღნიშნული ჯგუფის ბავშვებმა ხშირად არ იციან წერა-კითხვა და არ მიუღწევიათ ასაკისთვის შესაფერისი ფსიქო-სოციალური განვითარებისთვის. სწორედ ეს ფაქტორია ძირითადი მიზეზი მათთვის დამახასიათებელ პრობლემათა ასეთი სპექტრისთვის. ამიტომ მათი აკადემიური პრობლემების ენის ცოდნის ჭრილში განხილვა ნაადრევია..


II ჯგუფი-ბავშვები სახელმწიფო ან სხვა ორგანიზაციების ზრუნვის სერვისებიდან

დასახელებული პრობლემები

59 ანკეტის მონაცემები



■ ადმინ.წარ ■ პედაგოგი ■ მშობელი



კვლევისას იდენტიფიცირებულია 59 პასუხი ჯგუფის მოსწავლეების შესახებ სხვადასხვა ორგანიზაციების სერვისებიდან.

ჩანს, რომ დასახელებული პრობლემებიდან ნაკლებად აქტუალურია მოზარდთა ამ ჯგუფისთვის მატერიალური პრობლემები.

რაც შეეხება ზგ შეკითხვის მონაცემს, ეს მაჩვენებელი პასუხებში დღის ცენტრის ბენეფიციართა მოაზრებით გაჩნდა. ეს არის მოზარდთა ის კატეგორია, რომელიც იღებს სოციალური მომსახურების სააგენტოს დღის ცენტრების მომსახურებას, მაგრამ გამომდინარე ამ სერვისების კონცეფციიდან, არ არიან მუდმივად სერვისის ზედამხედველობის ქვეშ.


თვალში საცემია აკადემიური მოსწრებასთან და ქცევასთან დაკავშირებული პრობლემები.

როგორც ინტერვიურებისას გამოიკვეთა, განსაკუთრებით იმ მოსწავლეთა შემთხვევებში, რომელთაც ყავთ რეალურად მშობლები, მაგრამ მათთან არ ცხოვრობენ და აქვთ ძალიან რთული და მტკივნეული ურთიერთობა.

III ჯგუფი-სახელმწიფო ზრუნვიდან ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებული (რეინტეგრირებული) ბავშვები

7 ანკეტის მონაცემები

■ ადმინ.წარ ■ პედაგოგი ■ მშობელი



დასახელებული პრობლემები




კვლევისას იდენტიფიცირებულია 7 პასუხი ჯგუფის მოსწავლეების შესახებ.

ანკეტირებისას პასუხებში არ გამოიკვეთა პრობლემათა განსაკუთრებული სიხშირე, თუმცა პირად საუბრებში ასეთად დასახელდა „ქცევითი ან ემოციური თავისებურებები“.

IV ჯგუფი-მინდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვები


20 ანკეტის მონაცემები



ადმინ.წარმ. პედაგოგი მშობელი

დასახელებული პრობლემები

კანონსაწინააღმდეგო საქციელი	16
სკოლაში დაგვიანებით მაღალ ასაკში ჩარიცხ.	15
ქართულის არასაკმარისი ცოდნა	14
ნივთიერებადამოკიდებულება	13
ქცევითი ან ემოციური თავისებურებები	12
მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები	11
ინტელექტუალ. განვითარების პრობლემა	10
სასწავლო გეგმის ვერ დაძლევა	9
მონაწილეობენ ოჯახისთვის საქმიანობ.	8გ
ქუჩაში ყოფნა და უფროსებთან ურთიერთ.	8ბ
არ არის საჭირო სკოლაში სწავ.	8ა
მშობლის/მეურვის წინააღმდეგობა	7
სასკოლო ნივთების არ ქონა	6
საკვებით უზრუნველყოფის პრობლემა	5
სეზონური ტანსაცმლის არ ქონა	4
ოჯახის მატერ. უზრუნვ.	3
ვერ გრძნობენ თავს უსაფრთხოდ	2
სკოლიდან შორს ცხოვრება	1





კვლევისას იდენტიფიცირებულია 20 პასუხი ჯგუფის მოსწავლეების შესახებ.

დასახელებულ ძირითად პრობლემათა შორის იკვეთება

- „ქცევითი ან ემოციური თავისებურებები“*
- „ეროვნული სასწავლო გეგმის ვერ დაძლევა“ ანუ აკადემიური ხასიათის პრობლემები.*

V ჯგუფი - ბავშვები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან

დასახელებული პრობლემები



კვლევისას იდენტიფიცირებულია 61 პასუხი ჯგუფის მოსწავლეების შესახებ.

ანკეტირებისას პასუხებში გამოიკვეთა სოციალური უზრუნველყოფის შინაარსის პრობლემათა განსაკუთრებული სიხშირე (კითხვა N 3,4,5,11), რასაც შემდგომ უკავშირდება მე-2, მე-12 და მე-8 კითხვებზე პასუხების მონაცემები.

შესამჩნევი იყო კვლევაში მონაწილეთა ტენდენციურობა, სურვილი წარმოეჩინათ სკოლის გარემო უფრო მეტად კომფორტული მოწყვლადი ჯგუფის ბავშვებისთვის ვიდრე არის და პრობლემების მიმართ მეტად აღჭურვილი გადაჭრის გზებით ვიდრე ეს რეალურადაა.


გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ **ჯგუფის - „ბავშვები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან“** მიმართ მეტად შემწყნარებლურად და ლოიალურად არიან განწყობილი კვლევაში მონაწილე სუბიექტები სხვა ჯგუფებთან შედარებით.

ასევე გრძნობენ გარკვეულ პასუხისმგებლობას მათი პრობლემების გადაჭრისთვის.


რასაც გვაფიქრებინებს ინტერვიუს დროს გამოთქმული რეპლიკები:

- „ბავშვს სეზონური ტანსაცმელი არ აქვს და ჩვენ რას ვაკეთებთ აბა!?! არა ჩვენი ბავშვები მაგ პრობლემით არ იტანჯებიან“...
- „სახელმძღვანელოებით სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსწავლეებს და ე. ი. რვეულზე და ასეთ წვრილმანებზეა საუბარი?! არა ამ პრობლემის გადაწყვეტას რა უნდა“...

VI ჯგუფი-ქართული ენის არ მცოდნე უცხოეთში გაზრდილი და საქართველოში დასახლებული/დაბრუნებული ბავშვები



დასახლებული პრობლემები



კვლევისას იდენტიფიცირებულია 18 პასუხი ჯგუფის მოსწავლეების შესახებ.



დასახელებულ ძირითად პრობლემათა შორის იკვეთება:

- „სახელმწიფო (ქართული) ენის არასაკმარისი ცოდნა“, რასთანაც დაკავშირებულია აკადემიური ხასიათის პრობლემები;
- ინტელექტუალური განვითარების პრობლემები, რაც ძირითადად შემთხვევათა იმ კატეგორიას უკავშირდება როცა ბავშვის ოჯახი დაბალი სოციალური სტატუსისაა;
- მატერიალური შინაარსის პრობლემები.

VII ჯგუფი-ბავშვები, რომლებიც სეზონურ სამუშაოებში მონაწილეობის გამო, ან ოჯახური საქმიანობის თავისებურებებიდან გამომდინარე ხანგრძლივად არ ესწრებიან სწავლის პროცესს

დასახელებული პრობლემები

17 ანკეტის მონაცემები



კვლევისას იდენტიფიცირებულია 17 პასუხი ჯგუფის მოსწავლეების შესახებ.

მათი ნაწილი სეზონურად არის დაკავებული ანაზღაურებადი საქმიანობით, ნაწილი (მაღალი სასკოლო ასაკის მოსწავლეები) მუშაობენ დამხმარე პერსონალად სხვადასხვა დაწესებულებებში: კაფე-ბარებში, პროფილაქტიკებში,...


დასახელებული ძირითადი პრობლემები

- მატერიალურ საკითხებთან დაკავშირებული ხასიათისა;
- ასევე გადატვირთული დღის გრაფიკის გამო აქტუალურია აკადემიური ვერ მოსწრების საკითხიც.


VIII ჯგუფი - ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვები

დასახელებული პრობლემები

56 ანკეტის მონაცემები



ადმინ.წარ. პედაგოგ. მშობელი



კვლევისას იდენტიფიცირებულია 56 პასუხი ჯგუფის მოსწავლეების შესახებ

ანკეტაში გამოთქმული მოსაზრებების ეთნიკური კუთვნილების ჭრილში განხილვისას ძირითად პრობლემად გამოიკვეთა სახელმწიფო ენის არასათანადო ცოდნის გამო სწავლაში ჩამორჩენა და სასწავლო პროგრამის ვერ დაძლევა.

ეს პრობლემა ყველაზე ხშირად აღინიშნა ეთნიკურად აზერბაიჯანელი ბავშვების შემთხვევაში.


დანარჩენი პასუხები ძირითადად ნაწილდება ეთნიკურად აზერბაიჯანელ და ბოშა ბავშვების შემთხვევებზე.

IX ჯგუფი-ბავშვები საპატრიარქოს ბავშვთა სახლებიდან

არ დასახელდა პრობლემა

4 ანკეტის მონაცემები

ადმინ.წარ პედაგოგი მშობელი





კანონსაწინააღმდეგო საქციელი 16
 სკოლაში დაგვიანებით მაღალ ასაკში ჩარიცხ. 15
 ქართულის არასაკმარისი ცოდნა 14
 ნივთიერებადამოკიდებულება 13
 ქცევითი ან ემოციური თავისებურებები 12
 მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები 11
 ინტელექტუალ. განვითარების პრობლემა 10
 სასწავლო გეგმის ვერ დამლევა 9
 მონაწილეობენ ოჯახისთვის საქმიანობ. 8გ
 ქუჩაში ყოფნა და უფროსებთან ურთიერთ. 8ბ
 არ არის საჭირო სკოლაში სწავ. 8ა
 მშობლის/მეურვის წინააღმდეგობა 7
 სასკოლო ნივთების არ ქონა 6
 საკვებით უზრუნველყოფის პრობლემა 5
 სეზონური ტანსაცმლის არ ქონა 4
 ოჯახის მატერ. უზრუნვე. 3
 ვერ გრძნობენ თავს უსაფრთხოდ 2
 სკოლიდან შორს ცხოვრება 1
 სულ იდენტიფ. ბენეფიც.

0 1 1 2 2 3 3 4 4 5

X ჯგუფი-დეკნილი ბავშვები

დასახელებული პრობლემები დაფიქსირებულ პასუხებთან შედარებით არ ქმნის განსაკუთრებულ სურათს, რაც განაპირობა, ალბათ, კვლევის წარმოების არეალმა

68 ანკეტის მონაცემები




XI ჯგუფი- სკოლაში რეგისტრირებულნი ბავშვები, რომლებიც სკოლის მიტოვების რისკის ქვეშ არიან ქცევითი პრობლემების გამო


დასახელებული პრობლემები

29 ანკეტის მონაცემები

ადმინ.წარ პედაგოგი მშობელი



კანონსაწინააღმდეგო საქციელი 16
 სკოლაში დაგვიანებით მაღალ ასაკში ჩარიცხ. 15
 ქართულის არასაკმარისი ცოდნა 14
 ნივთიერებადამოკიდებულება 13
 ქცევითი ან ემოციური თავისებურებები 12
 მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები 11
 ინტელექტუალ. განვითარების პრობლემა 10
 სასწავლო გეგმის ვერ დაძლევა 9
 მონაწილეობენ ოჯახისთვის საქმიანობ. 8გ
 ქუჩაში ყოფნა და უფროსებთან ურთიერთ. 8ბ
 არ არის საჭირო სკოლაში სწავ. 8ა
 მშობლის/მეურვის წინააღმდეგობა 7
 სასკოლო ნივთების არ ქონა 6
 საკვებით უზრუნველყოფის პრობლემა 5
 სეზონური ტანსაცმლის არ ქონა 4
 ოჯახის მატერ. უზრუნვ. 3
 ვერ გრძნობენ თავს უსაფრთხოდ 2
 სკოლიდან შორს ცხოვრება 1
 სულ იდენტიფ. ბენეფიცი.



კვლევისას იდენტიფიცირებულია 29 პასუხი ჯგუფის მოსწავლეების შესახებ.


დასახელებულ ძირითად პრობლემათა შორის იკვეთება არა მატერიალური ან სხვა არამედ „ქცევითი და ემოციური თავისებურებები“, რომელთანაც დაკავშირებულია ისეთი პრობლემური საკითხები, როგორიცაა

- სწავლის მიმართ დაბალი მოტივაცია,*
- ასოციალური ქცევის მიმართ მიდრეკილებები,*
- აკადემიური მოსწრების და ინტელექტუალური განვითარების დაბალი დონე.*

ჯგუფების მიმართ დამოკიდებულებების შედარება
დასახელებული პრობლემების მიხედვით


1. თქვენთვის ცნობილი რომელიმე ჯგუფის ბავშვებს უხდებათ თუ არა სკოლის გაცდენა სისტემატიურად, სკოლიდან შორს ცხოვრების გამო?

1




მიუხედავად ქვეყანაში სასკოლო ტრანსპორტის უზრუნველყოფის კუთხით გადადგმული ნაბიჯებისა, რიგ შემთხვევებში, სკოლასა და საცხოვრებელს შორის მანძილის პრობლემა სკოლაში სიარულისთვის დამაბრკოლებელ მიზეზთა შორის მაინც რჩება.

2. ჩამოთვლილი ჯგუფებიდან, როგორ ფიქრობთ, რომელიმე ჯგუფის ბავშვები ვერ გრძნობენ თავს უსაფრთხოდ სკოლაში (აქვთ გარიყულობისა და მათი მიუღებლობის შიში)?



3. რომელიმე ჯგუფის წარმომადგენელ ბავშვს აიძულებს თუ არა ოჯახის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა იზრუნოს მის მატერიალურ უზრუნველყოფაზე?




4. როგორ ფიქრობთ, სეზონური ტანსაცმლის არ ქონა, ჩამოთვლილთაგან რომელიმე ბავშვების ჯგუფისთვის. არის თუ არა მიზეზი სკოლის სისტემატიურად გასაცდენად?

4




5. როგორ ფიქრობთ, საკვებით უზრუნველყოფის პრობლემები, არის თუ არა შემაფერხებელი ფაქტორი ჩამოთვლილთაგან რომელიმე ჯგუფის ბავშვის სკოლაში სიარულისთვის?



6. როგორ ფიქრობთ ბავშვის სასკოლო ნივთების უქონლობა არის თუ არა
შემაფერხებელი ფაქტორი ჩამოთვლილთაგან რომელიმე ჯგუფის ბავშვის სკოლაში
სიარულისთვის?


6



საერთო ჯამში, 3, 4, 5 და 6 კითხვების მონაცემებიდან ჩანს, რომ სოციალური შინაარსის პრობლემები აისახება მოწყვლადი ჯგუფების ბავშვების სასკოლო ცხოვრებაზე.

7. გსმენიათ თუ არა, რომ რომელიმე ჯგუფის წარმომადგენელი ბავშვის ოჯახის წევრები / მეურვეები წინააღმდეგი არიან ბავშვის სკოლაში სწავლის? რომელია ასეთი ჯგუფები?

7




როგორც მონაცემებიდან ჩანს, ძირითადად სწავლის მიმართ არასათანადო დამოკიდებულებას ავლენენ ეთნიკურად ბოშა და ე. წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მშობლები/მეურვეები.


8. თუ შეგიძლიათ დაასახელოთ რომელიმე ჯგუფის ბავშვებს ახასიათებთ თუ არა სწავლის მიმართ დაბალი მოტივაცია რადგან:

ა) არ თვლიან, რომ სკოლაში სწავლა საჭიროა


8/a



8-ბ) ურჩევნიათ ქუჩაში ყოფნა და მოზრდილებთან ურთიერთობა



8 გ) იღებენ მონაწილეობას ოჯახის სამეურნეო თუ სხვა სახის საქმიანობებში




როგორც მე-8 კითხვის ა, ბ და გ პუნქტების პასუხებიდან ჩანს, დასახელებულებიდან ყველაზე აქტუალურ პრობლემათა შორის ერთ-ერთი არის სწავლის მოტივაციის პრობლემა, ანუ სწავლის მიმართ დაბალი მოტივაცია.

სწავლასა და სკოლაში სიარულს, მოსწავლეთა ნაწილი, ქუჩაში ყოფნას, ან მოზრდილებთან ურთიერთობას არჩევს. ნაწილი კი იძულებულია იმუშაოს ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გამო, სისტემატიურად თუ არა შიგადაშიგ, სეზონურად, საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე.

9. ჩამოთვლილი ჯგუფებიდან, რომელიმე ჯგუფის ბავშვებისთვის არის თუ არა დამახასიათებელი სწავლაში ჩამორჩენა ეროვნული სასწავლო გეგმის ვერ დაძლევის გამო?


9



სკოლებში ეროვნული გეგმის ვერ დამლევა და აკადემიური ჩამორჩენა დასახელდა მძიმედ გადასალახ პრობლემად, იმის მიუხედავად, აქვს თუ არა ბავშვს საკმარისად განვითარებული გონებრივი შესაძლებლობები, აკადემიური უნარები. პედაგოგების აზრით, აუცილებელია თითოეულ ასეთ ბავშვთან ინდივიდუალური მუშაობა, რა საშუალებაც მასწავლებლებს, სკოლას დღეისთვის არ გააჩნია.

10. ჩამოთვლილი ჯგუფებიდან, რომელიმე ჯგუფის ბავშვებისთვის არის თუ არა დამახასიათებელი სწავლაში ჩამორჩენა ინტელექტუალური/გონებრივი განვითარების პრობლემების გამო?


10



ინტელექტუალური განვითარება პრობლემური საკითხი აღმოჩნდა მოწყვლადი ჯგუფების მეტიწილი ბავშვებისთვის, რაც დაკავშირებულია არასათანადო, არაკეთილსაიმედო გარემოსთან, რომელშიც ეს ბავშვები არსებობენ და იზრდებიან. ეს აისახება ასევე მათ ფსიქო-ემოციურ თავისებურებებზეც.

11. ჩამოთვლილი ჯგუფებიდან, რომელი ჯგუფის ბავშვებისთვის არის თუ არა დამახასიათებელი სწავლაში ჩამორჩენა არასათანადო/არაკეთილსაიმედო ან მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების გამო ?


11



ლოგიკურია, რომ სწავლაში ჩამორჩენის პრობლემა არასათანადო/ არაკეთილსაიმედო ან მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების გამო, გამოიკვეთა სოციალურად დაუცველი ჯგუფის შემთხვევაში. რაც შეეხება ჯგუფს „ბავშვები ზრუნვის სერვისებიდან“, როგორც ინტერვიუების პროცესში დაზუსტდა, არასასურველ გარემოდ, ამ შემთხვევაში რესპოდენტები გულისხმობენ ზრუნვის სერვისების მეურვეთა მიერ განათლების საკითხებისთვის არასათანადო ყურადღების დათმობას.

12. ჩამოთვლილი ჯგუფებიდან, რომელიმე ჯგუფის ბავშვებისთვის არის თუ არა დამახასიათებელი ისეთი ქცევითი და ემოციური თავისებურებები, რომლებიც უქმნის პრობლემებს თანატოლებთან /თანაკლასელებთან, მასწავლებლებთან ურთიერთობაში?


12



მონაცემებიდანაც ჩანს და ინტერვიუების პროცესშიც გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ქცევითი და ემოციური თავისებურებების მართვა, სკოლების ერთ-ერთ ყველაზე რთულად გადასაჭრელ საკითხად რჩება, რომელიც წარმოადგენს აკადემიური განვითარებისთვის სერიოზულ ბარიერს და საფრთხეს.

13. თუ შეგიძლიათ დაასახელოთ რომელი ჯგუფის ბავშვებში ვხვდებით ნივთიერება დამოკიდებულების ფაქტებს, რომელიც გავლენას ახდენს მათი სწავლის უნარზე (მაგ. როცა ნარკოტიკული ეფექტის გამო იღებენ ტაბლეტებს ან სხვა გამაბრუებელ საშუალებებს)


13



ნივთიერება დამოკიდებულების ფაქტების განხილვისას, გამოიკვეთა პრობლემის მატარებელი ორი ჯგუფი: რთული ქცევის ბავშვები და ე.წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები. ეს ის ჯგუფებია, რომელიც მშობლებს და პედაგოგებს შემჩნეული ყავთ გარკვეული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნისთვის დამახასიათებელ მდგომარეობას ან ქცევაში.

14. ჩამოთვლილი ჯგუფებიდან, რომელიმე ჯგუფის ბავშვებისთვის არის თუ არა დამახასიათებელი ენობრივი პრობლემები, რის გამოც უჭირთ მათ ქართულ ენაზე წერა-კითხვა და სწავლა?


14



სახელმწიფო ენის არ ცოდნის პრობლემა კვლავ აქტიურად დგას ეთნიკურად არაქართველ და სხვა ქვეყნიდან გადმოსულ მოსწავლეებს შორის. განსაკუთრებულად აღინიშნა, რომ ქართული ენას არ ფლობენ და ეს სწავლაში ძალიან უშლით ხელს ეთნიკურად აზერბაიჯანელი ბავშვების უმეტესობას.


15. როგორ ფიქრობთ, უფროსი ან საშუალო ასაკის ბავშვებს, რომლებსაც საერთოდ არ უსწავლიათ სკოლაში და არ ქონიათ თანატოლებთან ერთად სასკოლო ცხოვრების გამოცდილება და ჩაირიცხნენ სკოლაში, თქვენთვის ცნობილი ჯგუფებიდან ექმნებათ თუ არა პრობლემები თანატოლებთან ურთიერთობაში?

15



დაწყებითი და საბაზო საფეხურის ასაკის ბავშვებს, რომლებიც არ არიან ჩართული სასწავლო პროცესში, არ ქონიათ თანატოლებთან ერთად სასკოლო ცხოვრების გამოცდილება, ან ბავშვებს რომლებიც ამოირიცხნენ დაწყებითი და საბაზო საფეხურიდან და ხელახლა სკოლაში მოგვიანებით ჩაირიცხნენ ჩანს, რომ ექმნებათ თანატოლებთან ინტეგრაციის პრობლემები. მართალია ასეთი ფაქტები არ არის ძალიან ხშირი, მაგრამ საკითხი თავისი მნიშვნელობით აქტუალურია, ვინაიდან ვხვდებით მსგავს შემთხვევათაგან თითოეულთან.

16. თვლით თუ არა, რომ ჩამოთვლილთაგან ზოგიერთი ჯგუფის ბავშვთა შორის ხშირია კანონსაწინააღმდეგო საქციელი, შემჩნეულები არიან ქურდობაში, ხულიგნობაში, და სხვა?



შემჩნეული კანონსაწინააღმდეგო საქციელის შესახებ მონაცემების რაოდენობა ჯგუფისთვის „ბავშვები ზრუნვის სერვისებიდან“ დაგროვდა მეტწილად ერთ-ერთ სკოლაში წარმოებული კვლევის შედეგებიდან. ამდენად მისი განზოგადება და დასკვნის გაკეთება, რომ ეს პრობლემა ყველაზე მეტად ამ ჯგუფისთვისაა დამახასიათებელი არ იქნება მართებული.

ღია შეკითხვა: კიდევ ხომ არაფერს დაამატებდით?

სტანდარტული პასუხები:

მოსწავლეთა ქცევითი და
ემოციური თავისებურებები,
ქმნის პრობლემებს
თანატოლებთან
ურთიერთობაში.
ეს პრობლემები ახასიათებთ
თამამად აღზრდილ ე . წ.
„ნებიერა ბავშვებს“.

აშკარაა , რომ ქცევითი დარღვევის მქონე მოსწავლეების
კლასიდან კლასში გადასვლა ყოველწლიურად რთულდება.
ამ ჯგუფში მოსწავლეთა მდგომარეობა ხდება სრულიად
მარგინალური და საბოლოოდ ვიდებთ გაყინულ
ცხოვრებისათვის მოუმზადებელ ქცევითი დარღვევების
მქონე პიროვნებას, რომელიც აუცილებლად იქნება
მიდრეკილი კრიმინალისაკენ, რადგან ქვეყანაში
სოციალური პირობებიც არის უმძიმესი და ასეთი
მარგინალიზაცია არის ბიძგი დანაშაულისაკენ.

ყველაზე დიდ პრობლემას ქმნიან
დანარჩენი მოსწავლეების მშობლები,
რომელთაც სურვილი უჩნდებათ
გადაიყვანონ სხვა კლასში ან სკოლაში ე.წ.
რთული ან განსაკუთრებული მიდგომის
საჭიროების მქონე ბავშვები.

SOS-ბავშვთა სახლის და არა მარტო ამ
ორგანიზაციის, ბავშვებმა ძალიან კარგად
იციან თავიანთი უფლებები,
მაგრამ არ იციან თავიანთი მოვალეობები
(სკოლაში ქცევის წესები და ურთიერთობა
პედაგოგთან).



როგორც მშობელი, მე კმაყოფილი ვარ დირექტორის, მასწავლებლების და განსაკუთრებით მანდატურების, რომლებიც ზრუნავენ ჩვენს ბავშვებზე და ეხმარებიან მათ.

ისინი გვეხმარებიან ჩვენი შვილების აღზრდაში.

კარგი იქნება თუ მასწავლებლებსაც მოეთხოვებათ ბავშვების მიმართ ქცევის წესები.

მათ არ უნდა მიაყენონ მოსწავლეებს არანაირი შეურაცხყოფა, რადგან ეს ბავშვების ფსიქიკაზე ძალიან მოქმედებს.

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მეურვეებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ბავშვების აკადემიურ მოსწრებას. საჭიროა მათი ყოველდღიური კონტროლი წერითი და ზეპირი დავალებისას, დახმარება მეცადინეობის პროცესში, მეტი თანამშრომლობა საგნის მასწავლებლებთან.

სპორტსმენი ბავშვებისათვის უნდა იყოს სპეც. სკოლა ან შეკუმშული სპეც. პროგრამები მაინც.


თორემ როცა ისინი წარმატებულები და დასაფასებლები არიან, სკოლაში არასაკმარისი აკადემიური მოსწრების გამო მათი ავტორიტეტი ილახება და წარმატებები სპორტში კარგავს აზრს.

II-ე ბლოკი

შესაძლო ბარიერები და სკოლის გარემოს დეფიციტები,
ჩამოთვლილი ჯგუფის ბავშვთა სკოლაში სწავლებისთვის


1. არასაკმარისია ადმინისტრაციის
მზაობა და მოტივაცია ჩამოთვლილი
ჯგუფის ბავშვებთან მუშაობისთვის

N1




2. ადმინისტრაციის დამოკიდებულება
არის არაკეთილგანწყობილი
ჩამოთვლილი ჯგუფის ბავშვების
მიმართ


N2




3. სკოლაში არის დამხმარე ფართის
(საკლასო ოთახის) დეფიციტი ბავშვთან
ინდივიდუალური მუშაობისთვის




4. არა საკმარისია დამხმარე მასალები,
ბავშვებთან ინდივიდუალური
მუშაობისთვის, მათგან სასწავლო
პროგრამის დასაძლევად




5. არასაკმარისია დამხმარე სპეც.
პედაგოგების მზაობა და მოტივაცია
ჩამოთვლილი ჯგუფის ბავშვებთან
მუშაობისთვის




6. დამხმარე სპეც. პედაგოგების
დამოკიდებულება არის
არაკეთილგანწყობილი ჩამოთვლილი
ჯგუფის ბავშვების მიმართ




7. არ არიან მზად მოსწავლეები ჩამოთვლილი ჯგუფის ბავშვებთან ურთიერთობის სირთულეების თავიდან ასაცილებლად



8. არ არიან მზად მოსწავლეთა მშობლები ჩამოთვლილი ჯგუფის ბავშვებთან ურთიერთობის სირთულეების თავიდან ასაცილებლად ან გაგებით მოსაკიდებლად



9. თვლით თუ არა, რომ სკოლა - მოსწავლე, მასწავლებელი, დირექცია ცდილობს აარიდოს თავი რომელიმე დასახელებული ჯგუფიდან ბავშვის სკოლაში ჩარიცხვას?



ღია კითხვა:

თქვენ როგორ ფიქრობთ, რატომ ცდილობს მოსწავლე, მასწავლებელი, დირექტორი აარიდოს თავი ამ ჯგუფის ბავშვებთან ურთიერთობას?

სტანდარტული პასუხები:

- პედაგოგების და ადმინისტრაციის მიერ ზედმეტი შრომის თავიდან აცილება*
- მასწავლებლების დაბალი ანაზღაურება, რაც აისახება მათ კვალიფიკაციას, მოტივაციასა და მუშაობის ხარისხზე;*

ღია კითხვა:


თუ შეგიძლიათ დაასახელოთ სხვა რა ბარიერი შეიძლება კიდევ არსებობდეს ჩამოთვლილი ჯგუფის ბავშვთა სკოლის ცხოვრებაში/სასკოლო პროცესებში სრულფასოვანი ჩართვისთვის?

სტანდარტული პასუხები:

- სოც. მუშაკების ნაკლები აქტივობა;
- კლასელ ბავშვთა მშობლების დამოკიდებულება;
- მოწყვლადი ჯგუფების ბავშვთა მშობლებთან რთული ურთიერთობა;
- განსაკუთრებით პრობლემურ ბავშვთა მიმართ განსხვავებული საგანმანათლებლო მიდგომის აუცილებლობა, რათა გათვალისწინებული იყოს ყველა ბავშვის საჭიროება. არ უნდა დაირღვეს დანარჩენი ბავშვების განათლების უფლება;
- ბიოლოგიური მშობლები არ აძლევენ საშუალებას მულტიდისციპლინურ გუნდს ბავშვები შეაფასონ
- საკმარისი საჭირო სასკოლო ინვენტარის არ ქონა;
- კვალიფიციური ფსიქოლოგების დეფიციტი;
- ბავშვების სიმრავლე სკოლაში და კლასებში ართულებს პედაგოგების მუშაობას ინდივიდუალურად თითოეული ბავშვის მიმართ, აუცილებელი სტრატეგიის განხორციელებას;
- ბოშების მიერ სკოლის სისტემატურად გაცდენა დაწყებითი კლასების მერე;
- ეთნიკურად არაქართველმა პირველკლასელებმა არ იციან ქართული ენა;


დაჯამებული დასახელებული პრობლემები %-ებში

I ბლოკი



დაჯამებული დასახელებული პრობლემები %-ებში

II ბლოკი



მიღებული რიცხოვრივი მონაცემები სრულყოფილად არ ასახავს სკოლის გარემოში არსებულ პრობლემებსა და დეფიციტებს მოწყვლადი ჯგუფის ბავშვებთან პრობლემური საკითხების გადაჭრის კუთხით.

ინტერვიურებისას პედაგოგების მხრიდან გამოიკვეთა სკოლის მუშაობის ეფექტური წარმოჩენის ტენდენცია. პირად საუბარში ისინი დასმული საკითხების მიმართ ავლენდნენ განსხვავებულ დამოკიდებულებებს, ვიდრე ანკეტაზე პასუხების გაცემის პროცესში.

მშობლები სიფრთხილით ეკიდებოდნენ ინტერვიუს პროცესს. ცდილობდნენ მათი პასუხები მაქსიმალურად დაცული ყოფილიყო სკოლის კრიტიკისგან.

საინტერესოა, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლები მეტად ღია იყვნენ თანამშრომლობისა და რეალური, შეუღალაზებელი ინფორმაციის მოწოდებისთვის.

მიმდინარეობს მიღებული შედეგების ექსპერტული ანალიზი. თუმცა პირველადი მონაცემების მიხედვით განათლების კომპონენტით უზრუნველყოფის მიმართულებით იკვეთება, რომ სკოლებში მოწყვლადი ჯგუფების ბავშვებთან მუშაობის სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელებისთვის დღევანდელი სკოლის რესურსი ნაკლებად ეფექტურია. აუცილებელია დაიგეგმოს სკოლის გაძლიერება პირველ რიგში პედაგოგებისა და მოსწავლეთა მშობლების თვითცნობიერების ამაღლების კუთხით. ხოლო მოწყვლადი ჯგუფების მრავლობითი პრობლემებით აღჭურვილი ბავშვებისთვის, განსაკუთრებით სკოლაში სასკოლო ასაკის მიღწევაზე გაცილებით გვიან ჩარიცხვის შემთხვევაში, აუცილებელია დამატებითი საგანმანათლებლო რესურსის მიწოდება, რათა ნაკლებად მტკივნეულად მოხდეს ინტეგრაციის თანმხლები პრობლემების გადალახვა, როგორც ფსიქო-ემოციური ასევე აკადემიური მოსწრების კუთხით.

დასასრული

2014 წელი